

„ორთოპედიული სტომატოლოგია“

1. სპეციალობის დასახელება - „ორთოპედიული სტომატოლოგია.“

2. სპეციალობის შინაარსი:

ა) ორთოპედიული სტომატოლოგია არის სამედიცინო სპეციალობა და დამოუკიდებელი სამეცნიერო-პრაქტიკული სამედიცინო დისციპლინა. იგი კლინიკური მედიცინის სფეროა, რომელიც სწავლობს კბილების, ყბების, პირის ღრუსა და ყბა-სახის მიდამოს ორგანოების დაავადებების, დეფორმაციების და დაზიანებების ეტიოლოგიასა და პათოგენეზს, შეიმუშავებს მათი დიაგნოსტიკის, მკურნალობის და პროფილაქტიკის მეთოდებს ორთოპედიული აპარატებისა და პროტეზების გამოყენებით.

ბ) ორთოპედიული სტომატოლოგია არის ზოგადი სტომატოლოგიის შემადგენელი და ზოგადი ორთოპედიის დამოუკიდებელი ნაწილი. იგი არის მეცნიერება ყბა-კბილთა სისტემის ანომალიების და შეძენილი დეფექტების, ორგანოების დაზიანებებისა და დეფორმაციების შემეცნების, პროფილაქტიკისა და მკურნალობის შესახებ. ამ მიზნების მისაღწევად ორთოპედიულ სტომატოლოგიაში გამოიყენება ფუნქციონალური, საპროტეზო, აპარატული და აპარატულ-ქირურგიული მკურნალობის მეთოდები.

გ) ორთოპედიულ თერაპიაში წამყვანი ადგილი უჭირავს პროტეზირებას. მისი ამოცანაა არა მარტო კბილთა მწკრივისა და ალვეოლური მორჩის დეფექტების აღდგენა, არამედ ორგანოს (ორგანოების) შემდგომი დაშლისა და დაავადების რეციდივის თავიდან აცილება. პროტეზი არის სამკურნალო საშუალება, რომლის სწორი გამოყენება სამკურნალო და პროფილაქტიკური ამოცანების გადაჭრის შესაძლებლობას იძლევა.

დ) თანამედროვე ორთოპედიული სტომატოლოგია ეს არის მეცნიერული დისციპლინა, რომელიც შედგება ზოგადი და კერძო კურსებისაგან. ზოგადი კურსი წარმოადგენს პროპედევტიკულ, ანუ მოსამზადებელ კურსს. კერძო კურსი მოიცავს ორ ძირითად ნაწილს: კბილთპროტეზირება და ყბა-სახის ორთოპედია.

ე) ორთოპედიული სტომატოლოგიის პროპედევტიკის კურსში გადმოცემულია სადექი აპარატის მოკლე ანატომიურ-ფიზიოლოგიური დახასიათება, ავადმყოფის გამოკვლევის ზოგადი და სპეციალური მეთოდები (დიაგნოსტიკა), გამოვლენილი დაავადების ნიშნების შეფასება (სიმპტომატოლოგია ან სემიოტიკა), კლინიკური მასალათმცოდნეობა,

ასევე ლაბორატორიული ტექნიკა (პროტეზირებისა და სხვადასხვა ორთოპედიული აპარატების დამზადების მეთოდთა).

ვ) კბილთპროტეზირების ამოცანაა სხვადასხვა პათოლოგიების დროს წარმოქმნილი კბილებისა და კბილთა მწკრივების დეფექტების დიაგნოსტიკა, პროფილაქტიკა და აღდგენა, სხვადასხვა კონსტრუქციის კბილთპროთეზების (მათ შორის – იმპლანტებზე დაყრდნობილი) გამოყენებით.

ზ) ყბა-სახის ორთოპედია შეისწავლის ყბებისა და სახის იმ დეფორმაციების დიაგნოსტიკას, პროფილაქტიკას, პროტეზირებას და გასწორებას, რომლებიც ტრავმის, დაავადების ან სხვადასხვა ოპერაციების შედეგად წარმოიქმნა.

თ) ზემოთქმულიდან გამომდინარე, ორთოპედიული სტომატოლოგიის ძირითადი ამოცანაა გამოუმუშაოს სტუდენტებს (ექიმებს) დაკვირვებულობა, დანახული, მოსმენილი, გამოვლენილი სიმპტომების ლოგიკური გაანალიზების უნარი, რათა შემდგომ იგი დაუკავშიროს ერთიან პათოგენეტიკურ პროცესს, დაასაბუთოს ორთოპედიული ან კომპლექსური მკურნალობის გეგმა და პაციენტის მართვის ტაქტიკა. ამასთან ერთად, სტუდენტმა (ექიმმა) უნდა აითვისოს ძირითადი მანუალური ჩვევები, რომლებიც უზრუნველყოფენ ზოგადი პრაქტიკის ექიმ-სტომატოლოგის პროგრამით მომზადებული სპეციალისტების მიერ ორთოპედიული დიაგნოსტიკური, პროფილაქტიკური და სამკურნალო ღონისძიებების ჩატარებას.

ი) ორთოპედიული სტომატოლოგიის პროპედევტიკა მიზნად ისახავს გაუმყაროს სტუდენტს (ექიმს) ანატომიის, ჰისტოლოგიის, ქიმიისა და სხვა სამედიცინო-ბიოლოგიური დისციპლინების შესწავლით მიღებული ცოდნა. ასევე, სტუდენტებმა უნდა შეისწავლონ სემიოლოგია, პაციენტის გამოკვლევის მეთოდები, სადიაგნოსტიკო მეთოდები და მიღებული შედეგების ანალიზი. ფანტომების დახმარებით უნდა აითვისონ ყველაზე ხშირად გამოსაყენებელი მანუალური ჩვევები (კბილების პრეპარირება, ანაბეჭდის აღება და სხვა). დეტალურად უნდა გაეცნონ ექიმ-სტომატოლოგის სამუშაო ადგილის ტექნიკურ აღჭურვილობას. უნდა შეისწავლონ ერგონომიკის საკითხები და ექიმისა და მისი თანაშემწის მუშაობის საფუძვლები, შიდასამსახურებრივი და პაციენტთან ურთიერთობის ეთიკა და დეონტოლოგია, ასეპტიკა და ანტისეპტიკა, ანტივირუსული პროგრამა (აივინფექცია, ჰეპატიტი B, ჩ და სხვა), დეზინფექციის საკითხები. სტუდენტები (ექიმები) გაეცნობიან სტომატოლოგიური მასალათმცოდნეობის ძირითად სახეებს. კერძო კურსის (ფაკულტატურ-ჰოსპიტალური ციკლი) საშუალებით სტუდენტები შეისწავლიან სხვადასხვა ნოზოლოგიურ ფორმებსა და მათი ორთოპედიული მკურნალობის მეთოდებს, კბილთპროტეზების დამზადების ლაბორატორიულ პროცესებს და სატექნიკო მასალათმცოდნეობას, რთული

ნოზოლოგიური ფორმების დიფერენციალურ დიაგნოსტიკას და კომპლექსური მკურნალობის მეთოდებს, ასევე, აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ პაციენტთა მიღებაში პედაგოგების მეთვალყურეობით.

### 3. ზოგადი ცოდნა:

ექიმმა, რომელიც ფლობს სახელმწიფო სერტიფიკატს სპეციალობაში „ორთოპედიული სტომატოლოგია“, უნდა იცოდეს:

- ა) ყბა-კბილთა სისტემის ანატომია და ფიზიოლოგია;
- ბ) ოკლუზია და არტიკულაცია;
- გ) პირის ღრუს ლორწოვანი გარსის ანატომიური და ტოპოგრაფიული თავისებურებანი;
- დ) პაციენტის გამოკვლევა ორთოპედიული სტომატოლოგიის კლინიკაში;
- ე) პირის ღრუს მომზადება პროტეზირებისათვის;
- ვ) ორთოპედიული სტომატოლოგიის მასალათმცოდნეობა;
- ზ) პაციენტის ფსიქოლოგიური მომზადება პროტეზირებისათვის;
- თ) კბილების გვირგვინების დეფექტები და მათი ორთოპედიული მკურნალობა;
- ი) ხელოვნური გვირგვინების სახეები და მათი კლინიკური გამოყენების ჩვენებები;
- კ) პროტეზირება კბილის გვირგვინის მთლიანი დაკარგვის დროს;
- ლ) კბილების ნაწილობრივი დაკარგვა და პაციენტის მომზადება პროტეზირებისათვის;
- მ) ხიდისებური პროთეზები, მათი კლინიკური გამოყენების ჩვენებები და უკუჩვენებები;
- ნ) კბილების პათოლოგიური ცვეთა და მათი ორთოპედიული მკურნალობა;
- ო) პაროდონტის დაავადებათა ორთოპედიული მკურნალობა;
- პ) ნაწილობრივი და მთლიანი ედენტულიზმის ორთოპედიული მკურნალობა დენტალური იმპლანტების გამოყენებით;
- ჟ) ნაწილობრივი ედენტულიზმის მკურნალობა მოსახსნელი პროთეზებით;
- რ) მოსახსნელი პროთეზირება კბილების მთლიანი დაკარგვის დროს;
- ს) მოუხსნელი და მოსახსნელი პროთეზირება კბილების მთლიანი დაკარგვის დროს დენტალური იმპლანტების გამოყენებით;
- ტ) ყბა-სახის ორთოპედია.

#### 4. დაავადებები და მდგომარეობები:

ICD 10	პათოლოგია	საქმიანობის მოცულობა
K00.1, K00.2, K00.3, K00.4, K00.5, K00.8	ზეკომპლექსური კბილები კბილების ზომისა და ფორმის ანომალიები კბილების ლაქები კბილის ჩამოყალიბების დარღვევები კბილის განვითარების სხვა დარღვევები	ჩანართების დამზადება და ფიქსაცია.
K01, K03, K03.0, K03.1, K03.2, K03.7, K03.8, K08.3	შეკავებული(კომპაქციური) და ამოუჭრელი (რეტენციული) კბილები: კბილების ინტენსიური ცვეთა კბილების აბრაზია (შლა) კბილების ეროზია კბილების მაგარი ქსოვილების ფერის ცვლილება ამოჭრის შემდგომი კბილების მაგარი ქსოვილების სხვა დაზუსტებული დაავადებები დარჩენილი კბილის ფესვი	ხელოვნური გვირგვინების დამზადება, მორგება და ჩაცემენტება
K00, K00.0, K00.8, K03, K03.0, K03.1, K03.2, K03.7, K05.3, K08.1, K08.3, K08.8, K08.9	კბილის განვითარების სხვა დარღვევები კბილის განვითარების და ამოჭრის შეკავებული(კომპაქციური) და ამოუჭრელი (რეტენციული) კბილები: კბილების ინტენსიური ცვეთა კბილების აბრაზია (შლა) კბილების ეროზია კბილების მაგარი ქსოვილების ფერის ცვლილება ამოჭრის შემდგომი კბილების მაგარი ქსოვილების სხვა დაზუსტებული დაავადებები ქრონიკული პაროდონტიტი კბილების და საყრდენი სტრუქტურების სხვა დაზუსტებული დაზიანებები კბილების და საყრდენი სტრუქტურების დაზიანებები, დაუზუსტებელი დარჩენილი კბილის ფესვი კბილების დაკარგვა გამოწვეული ტრავმით, ექსტრაქციით ან პერიოდონტის ადგილობრივი დაავადებით	ხიდისებური პროთეზის დამზადება და ფიქსაცია. ორთოპედიული კონსტრუქციების დენტალურ იმპლანტებზე ფიქსაცია ცემენტის ან ჭანჭიკის საშუალებით
K00, K00.0, K05.3, K05.4, K05.5,	კბილის განვითარების სხვა დარღვევები კბილის განვითარების და ამოჭრის კბილების ეროზია ქრონიკული პაროდონტიტი პაროდონტოზი	დროებითი ხიდისებური პროთეზის დამზადება

<p>K05,6, K06.0, K08.8, K08.1, K08.2,</p>	<p>პაროდონტის დაუზუსტებელი ავადმყოფობები ღრძილების რეცესია (ღრძილოვანი კიდის ატროფია კბილების დაკარგვა გამოწვეული ტრავმით, ექსტრაქციით ან პერიოდონტის ადილობრივი დაავადებით კბილების და საყრდენი სტრუქტურების სხვა დაზუსტებული დაზიანებები ალვეოლური მორჩის ატროფია</p>	
<p>K00, K00.0, K05.3, K05.4, K05.5, K05.6, K06.0, K08.8, K08.1, K08.2,</p>	<p>კბილის განვითარების სხვა დარღვევები კბილის განვითარების და ამოჭრის კბილების ეროზია ქრონიკული პაროდონტიტი პაროდონტოზი პაროდონტის დაუზუსტებელი პაროდონტის დაუზუსტებელი ავადმყოფობები ღრძილების რეცესია (ღრძილოვანი კიდის ატროფია კბილების დაკარგვა გამოწვეული ტრავმით, ექსტრაქციით ან პერიოდონტის ადილობრივი დაავადებით კბილების და საყრდენი სტრუქტურების სხვა დაზუსტებული დაზიანებები</p>	<p>ნაწილობრივი და მთლიანი მოსახსნელი ფირფიტოვანი პროთეზების მორგება-ჩაბარება. დენტალურ იმპლანტებზე დაყრდნობილი მოსახსნელი ორთოპედიული კონსტრუქციების მორგება-ჩაბარება.</p>
<p>K03.0, K00, K00.0, K05.3, K05.4, K05.5, K05.6, K06.0, K08.8, K08.1, K08.2,</p>	<p>კბილების ინტენსიური ცვეთა კბილის განვითარების სხვა დარღვევები კბილის განვითარების და ამოჭრის კბილების ეროზია ქრონიკული პაროდონტიტი პაროდონტოზი პაროდონტის დაუზუსტებელი პაროდონტის დაუზუსტებელი ავადმყოფობები ღრძილების რეცესია (ღრძილოვანი კიდის ატროფია კბილების დაკარგვა გამოწვეული ტრავმით, ექსტრაქციით ან პერიოდონტის ადილობრივი დაავადებით კბილების და საყრდენი სტრუქტურების სხვა დაზუსტებული დაზიანებები</p>	<p>ბიგელისებური პროთეზების დამზადება, მორგება და ჩაბარება. დენტალურ იმპლანტებზე დაყრდნობილი მოუხსნელი ორთოპედიული კონსტრუქციების მორგება-ჩაბარება.</p>
<p>K03.0, K00, K00.0,</p>	<p>კბილის განვითარების სხვა დარღვევები კბილის განვითარების და ამოჭრის კბილების ეროზია</p>	<p>CAD/CAM სისტემით ორთოპედიული ჩანართების ინლეი, ონლეი, ოვერლეი და</p>

<p>K05.3, K05.4, K05.5, K05.6, K06.0, K08.8, K08.1, K08.2,</p>	<p>ქრონიკული პაროდონტიტი პაროდონტოზი პაროდონტის დაუზუსტებელი პაროდონტის დაუზუსტებელი ავადმყოფობები ღრძილების რეცესია (ღრძილოვანი კიდის ატროფია კბილების დაკარგვა გამოწვეული ტრავმით, ექსტრაქციით ან პერიოდონტის ადილობრივი დაავადებით კბილების და საყრდენი სტრუქტურების სხვა დაზუსტებული დაზიანებები</p>	<p>ფინლეთი ჩანართების დამზადება, მორგება, ფიქსაცია</p>
<p>K03.0, K00, K00.0, K05.3, K05.4, K05.5, K05.6, K06.0, K08.8, K08.1, K08.2,</p>	<p>კბილის განვითარების სხვა დარღვევები კბილის განვითარების და ამოჭრის კბილების ეროზია ქრონიკული პაროდონტიტი პაროდონტოზი პაროდონტის დაუზუსტებელი პაროდონტის დაუზუსტებელი ავადმყოფობები ღრძილების რეცესია (ღრძილოვანი კიდის ატროფია კბილების დაკარგვა გამოწვეული ტრავმით, ექსტრაქციით ან პერიოდონტის ადილობრივი დაავადებით კბილების და საყრდენი სტრუქტურების სხვა დაზუსტებული დაზიანებები</p>	<p>მეტალოკერამიკის ხელოვნური გვირგვინების დამზადება, მორგება, ფიქსაცია</p>
<p>K03.0, K00, K00.0, K05.3, K05.4, K05.5, K05.6, K06.0, K08.8, K08.1, K08.2, K08.1, K08.0, K08</p>	<p>კბილის განვითარების სხვა დარღვევები კბილის განვითარების და ამოჭრის კბილების ეროზია ქრონიკული პაროდონტიტი პაროდონტოზი პაროდონტის დაუზუსტებელი პაროდონტის დაუზუსტებელი ავადმყოფობები ღრძილების რეცესია (ღრძილოვანი კიდის ატროფია კბილების დაკარგვა გამოწვეული ტრავმით, ექსტრაქციით ან პერიოდონტის ადილობრივი დაავადებით კბილების და საყრდენი სტრუქტურების სხვა დაზუსტებული დაზიანებები</p>	<p>კერამიკის ვინირების დამზადება, მორგება, ფიქსაცია</p>
<p>K03.0, K00,</p>	<p>კბილის განვითარების სხვა დარღვევები კბილის განვითარების და ამოჭრის</p>	<p>უმეტალო კერამიკის გვირგვინების დამზადება, მორგება და ფიქსაცია</p>

<p>K00.0, K05.3, K05.4, K05.5, K05.6, K06.0, K08.8, K08.1, K08.2, K08.1</p>	<p>კბილების ეროზია ქრონიკული პაროდონტიტი პაროდონტოზი პაროდონტის დაუზუსტებელი პაროდონტის დაუზუსტებელი ავადმყოფობები ღრმილების რეცესია (ღრმილოვანი კიდის ატროფია კბილების დაკარგვა გამოწვეული ტრავმით, ექსტრაქციით ან პერიოდონტის ადილობრივი დაავადებით კბილების და საყრდენი სტრუქტურების სხვა დაზუსტებული დაზიანებები</p>	
<p>K08.8, K08.9</p>	<p>კბილების და საყრდენი სტრუქტურების სხვა დაზუსტებული დაზიანებები კბილების და საყრდენი სტრუქტურების დაზიანებები, დაუზუსტებელი</p>	<p>უმეტალო კერამიკის ხიდისებური პროთეზების დამზადება, მორგება და ფიქსაცია</p>

#### 5. სავალდებულო პრაქტიკული უნარ-ჩვევები:

ა) ექიმს, რომელიც ფლობს სახელმწიფო სერტიფიკატს სპეციალობაში „ორთოპედიული სტომატოლოგია“, უნდა შეეძლოს შემდეგი კვლევის მონაცემების ინტერპრეტაცია:

ა.ა) სისხლის საერთო ანალიზი;

ა.ბ) სისხლის ბიოქიმიური ანალიზი;

ა.გ) პირის ღრუს მიკროფლორის ანალიზი;

ა.დ) ალერგიული ტესტის ანალიზი;

ა.ე) რენტგენოგრაფია (დამიზნებითი დენტალური პირშიგნითა და ორთოპანტომოგრაფია);

ა.ვ) 3D კომპიუტერული ტომოგრაფია;

ა.ზ) მასტიკაციოგრაფია;

ა.თ) ლექვითი ეფექტურობის განსაზღვრა;

ა.ი) ყბა-სახის მიდამოს და პირის ღრუს ორგანოების და ქსოვილების ინსტრუმენტული დათვალიერება, მათი ინსპექცია და მიღებული ინფორმაციის ანალიზი;

ა.კ) კბილთა მწკრივის ანაბეჭდებით მიღებული სადიაგნოსტიკო ლაბორატორიული მოდელების შესწავლა;

ა.ლ) არტიკულატორში დაფიქსირებული მოდელების ანალიზი და კლინიკური დიაგნოზის დაზუსტება.

**ბ) ექიმს, რომელიც ფლობს სახელმწიფო სერტიფიკატს სპეციალობაში „ორთოპედიული სტომატოლოგია“, უნდა შეეძლოს შემდეგი მანიპულაციების/კვლევების შესრულება:**

ბ.ა) თანკბილვის სახეობის განსაზღვრა;

ბ.ბ) ადგილობრივი ანესთეზიის (ინფილტრაციული და რეგიონული) გაკეთება ორთოპედიული ჩვენების მიხედვით;

ბ.გ) დენტალური იმპლანტაციის დაგეგმვა ოკლუზიური დატვირთვის გათვალისწინებით;

ბ.დ) ყბა-კბილთა ანაბეჭდის აღება და საანაბეჭდო კოვზების შერჩევითი გამოყენება;

ბ.ე) დიაგნოსტიკური მოდელების შეფასება;

ბ.ვ) კბილების პრეპარირება ჩანართებისათვის (მათ შორის წკირიანი);

ბ.ზ) ჩანართების (მათ შორის წკირიანი) დამზადება პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდებით;

ბ.თ) კბილის პრეპარირება, ანაბეჭდის აღება, ცენტრალური ოკლუზიის განსაზღვრა;

ბ.ი) ინდივიდუალური კოვზების დამზადება;

ბ.კ) ანაბეჭდის აღება დენტალურ იმპლანტებზე (ტრანსფერების გამოყენებით) - ღია და დახურული მეთოდები;

ბ.ლ) ხელოვნური გვირგვინების დამზადება, მორგება და ჩაცემენტება;

ბ.მ) ხიდისებური პროთეზის დამზადება, მორგება და ჩაცემენტება;

ბ.ნ) დროებითი ხიდისებური პროთეზის დამზადება, მორგება და ჩაცემენტება;

ბ.ო) ნაწილობრივი და მთლიანი მოსახსნელი ფირფიტოვანი პროთეზების მორგება-ჩაბარება;

ბ.პ) ბიგელისებური პროთეზების დამზადება, მორგება და ჩაბარება;

ბ.ჟ) CAD/CAM სისტემით ორთოპედიული ჩანართების ინლეი, ონლეი, ოვერლეი და ფინლეი ჩანართების დამზადება, მორგება, ფიქსაცია;



- ბ.რ) მეტალოკერამიკის ხელოვნური გვირგვინების დამზადება, მორგება, ფიქსაცია;
- ბ.ს) კერამიკის ვინირების დამზადება, მორგება, ფიქსაცია;
- ბ.ტ) უმეტალო კერამიკის გვირგვინების დამზადება, მორგება და ფიქსაცია;
- ბ.უ) უმეტალო კერამიკის ხიდისებური პროთეზების დამზადება, მორგება და ფიქსაცია;
- ბ.ფ) ტელესკოპური გვირგვინების დამზადება, მორგება და ფიქსაცია;
- ბ.ქ) ელასტიური ბაზისით დამზადებული მოსახსნელი პროთეზების მორგება და ჩაბარება;
- ბ.ღ) ხიდისებური მოუხსნელი პროთეზების დამზადება, მორგება და ფიქსაცია;
- ბ.ყ) მოსახსნელი ხიდისებური პროთეზების დამზადება საკეტოვანი ფიქსატორების და ტელესკოპური გვირგვინების გამოყენებით;
- ბ.შ) პაციენტთა ორთოპედიული სტომატოლოგიური რეაბილიტაცია დენტალური იმპლანტების გამოყენებით;
- ბ.ჩ) კბილის მაგარი ქსოვილების ინტენსიური ცვეთის ორთოპედიული მკურნალობა;
- ბ.ც) კბილის მაგარი ქსოვილების აბრაზიული დეფექტების ორთოპედიული მკურნალობა;
- ბ.ძ) პაროდონტის დაავადებების ორთოპედიული მკურნალობა.

## **6. სპეციალიზაცია:**

საექიმო სპეციალობაში „ორთოპედიული სტომატოლოგია“ სერტიფიცირებულ პირს, რომელიც ამავე დროს ფლობს სუბსპეციალობის მოწმობას „პირის ღრუს ქირურგიული სტომატოლოგია“, ასევე, საექიმო სპეციალობაში „ქირურგიული სტომატოლოგია“ სერტიფიკატის მქონე პირს, უფლება აქვს, განახორციელოს დენტალური იმპლანტაცია შესაბამისი სპეციალიზაციის კურსის გავლის საფუძველზე.